

# ვორკშოპი

## სამხრეთკავკასიური ცარცის წრე (SCCC)

### ფილოლოგია ხვდება ლინგვისტიკას

სექტემბერი-2016

, 2016

პარიზი ჩიკაგოს უნივერსიტეტის  
ცენტრი

ტომას მანის, ქ

. 6

ორგანიზატორები: იოანა ჩიტორანი, ელენ ჟერარდენი, ლენორ გრენობლი, ლეა ნეში, მარია პოლინსკი

ეს ვორკშოპი გაართიანებს ენის მეცნიერული კვლევის სხვადასხვა ასპექტზე მომუშავე ენათმეცნიერებს და ქართული და სამხრეთკავკასიური (ქართველური) ენების ექსპერტებს. შეხვედრის მთავარი მიზანია ხელი შეუწყოს დიალოგს სხვადასხვა მიმართულების მეცნიერებს შორის, დაეხმაროს მაგისტრანტებს, დოქტორანტებსა და ახალგაზრდა მეცნიერებს კარიერის საწყის ეტაპზე. ვორკშოპის ჩატარების თარიღი ემთხვევა შოთა რუსთაველის საიუბილეო წელს, ამიტომაც იგი ეძღვნება ამ უდიდეს პოეტსა და მოაზროვნეს, კავკასიის ჰომეროსს.

ქართული და მცირე ენობრივი ოჯახი, რომელსაც ის მიეკუთვნება (ლაზური, მეგრული, სვანური), უჩვეულო ლინგვისტური თვისებებით გამოირჩევა და იგი საქართველოშივე ასოცირდება ძლიერ ფილოლოგიურ ტრადიციებთან. მკვლევრები, რომლებიც ვერ კითხულობენ ნაშრომებს ქართულად და რუსულად, ქართველურ ენათა ზოგიერთ ასპექტს შეიძლება იცნობდნენ დასავლეთელი მეცნიერების წყალობით. მიუხედავად იმისა, რომ ისინი კვლევის ძირითად საკითხებს ითვალისწინებენ და თეორიული ამოცანებსაც გამოკვეთენ, ქართველური ენების კვლევა მეტ ყურადღებას იმსახურებს და, შესაძლებელია, უფრო კარგად იყოს შესწავლილი მკვლევართა საერთაშორისო გუნდის მიერ, რომელიც შეახვედრებს ერთმანეთს ქართულ ფილოლოგიურ ტრადიციებზე აღზრდილ სპეციალისტებსა და ზოგადი ლინგვისტიკის მკვლევრებს, რომლებიც მუშაობენ ფონოლოგიასა და სინტაქსზე, ენათა ვარიაციებზე, ენის დაუფლებასა და წინადადების წარმოებაზე... ეს ვორკშოპი არის ორმხრივი ძალისხმევის ნაწილი, რომელიც დააკავშირებს მკვლევართა ორ საზოგადოებას ცალკეული ქართველური ენებისა და შედარებითი კვლევების განსახორციელებლად.

სამხრეთკავკასიური ვორკშოპი

## განრიგი

მთავარი მიზანი: ქართველური ენების მკვლევართა საზოგადოების შეკრება სამუშაო შეხვედრის ფორმატში

ვორკშოპზე არ იქნება სტანდარტული საკონფერენციო პრეზენტაციები. პოსტერის წარმდგენმა ორ წუთში, მოკლედ უნდა გადმოსცეს თავისი კვლევის მთავარი სათქმელი.

პოსტერის რეკომენდებული ზომა ( 85სმ x 120სმ პორტრეტი)

ტერმინოლოგიურ საკითხებს მიეძღვნება რამდენიმე სპეციალური სესია და კონსულტაცია. მთავარი დრო გადანაწილებულია სამ პანელზე: ფონეტიკა/ფონოლოგია; მორფოსინტაქსი და დოკუმენტაცია, ენის ცვლილებები, ვარიაციები. პანელის თავმჯდომარე ყოველდღე შეიცვლება (იხილეთ ქვემოთ).

**I დღე, 22 სექტემბერი, ხუთშაბათი**

9:30-10:00 ოფიციალური გახსნა (ყველა პანელი ერთ სივრცეში): ლეონორ გრენობლი (ჩიკაგოს უნივერსიტეტი), ლუა ნეში, იოანა ჩიტორანი და ელენ ჟერარდენი (ვორკშოპის პარიზელი ორგანიზატორები)

10:00-10:45 ზოგადი შესავალი (ყველა პანელი ერთ სივრცეში) მარია პოლინსკი

10:45-11:00 შესვენება

11:00-13:00 კონსულტაცია ქართული ენის გრამატიკასა და ფორმალურ მოდელებზე: იაკოვ ტესტელეცი.

13:00-14:00 ლანჩი

14:00-15:00 ქართველური კვლევები საქართველოში: თანამედროვე მდგომარეობა: რუსუდან ასათიანი

15:00-15:15 შესვენება

15:15-17:00 ფონეტიკა-ფონოლოგიის პოსტერები. თითოეულ მონაწილეს მიეცემა 2 წუთი პოსტერის მოკლე რეზიუმესათვის, შემდეგ პოსტერები გამოიფინება.

17:00-19:00 პანელები, 1-ლი შეხვედრა:

ვორკშოპის მონაწილეები ისაუბრებენ განხორციელებული კვლევების შესახებ და გამოკვეთენ ახალ საკითხებს. სურვილის მიხედვით, მონაწილეები მეორე დღისთვისაც მოამზადებენ პრეზენტაციებს.

აქტუალური საკითხების გადაწყვეტისას ყურადღება უნდა გამახვილეს შემდეგ საკითხებზე:

1. საკითხის დასმა: რა არის საჭირო კვლევისა და ანალიზისათვის;
2. პრობლემის აქტუალობა: რა გვეცოდინება პრობლემის გადაწყვეტის შემდეგ;
3. შედეგები: როგორ იცვლება ჩვენი თეორია მიღებული პასუხების შემდეგ.

ფონეტიკა— ფონოლოგიის პანელი, ხელმძღვანელი იონა ჩიტორანი

მორფოსინტაქსის პანელი, ხელმძღვანელი მარია პოლინსკი

ენის დოკუმენტაციის პანელი, ხელმძღვანელი ლეონორ გრენობლი

## **II დღე, პარასკევი, 23 სექტემბერი**

9:00-11:00 ექპერიმენტული სამუშაოების შესახებ კონსულტაციები: მარია პოლინსკი და სტავროს სკოპეტეასი

11:00-11:15 შესვენება

11:15-13:00 მორფოსინტაქსის პოსტერები (14); თითოეულ მონაწილეს მიეცემა 2 წუთი პოსტერის მოკლე რეზიუმესათვის, შემდეგ პოსტერები გამოიფინება.

13:00-14:00 ლანჩი

14:00-15:00 ტერმინოლოგიური სესია: (ყველა პანელი ერთად): ლეა ნეში, დანიელ ჰარბორი, მარტა მაკგინისი.

15:00-15:15 შესვენება

15:15-18:30 პანელები, მე-2 შეხვედრა:

კვლევის საკითხების წარდგენა. ვორკშოპის მონაწილეები ახსნიან, თუ რატომ არის საჭირო საკითხის ასე დასმა და რას აღმოაჩენენ. მოამზადებენ სპეციფიკური წინადადებების მონახაზს მომავალი სამუშაოებისათვის.

თითოეული არაფორმალური პრეზენტაციის სტრუქტურა ასეთია:

1. საკითხის დასმა: რა არის საჭირო კვლევისა და ანალიზისათვის;
2. პრობლემის აქტუალობა: რა გვეცოდინება პრობლემის გადაწყვეტის შემდეგ;
3. შედეგები: როგორ იცვლება ჩვენი თეორია მიღებული პასუხების შემდეგ.

ფონეტიკა—ფონოლოგიის პანელი, თავმჯდომარე ლეა ნეში

ენის დოკუმენტაციის პანელი, თავმჯდომარე ალექსანდრე როსტოვცევ—პოპიელი

## **III დღე, შაბათი, 24 სექტემბერი**

9:00-10:30 კონსულტაციები დოკუმენტური ლინგვისტიკის შესახებ: ლეონორ გრენობლი

10:30-10:45 შესვენება

10:45-13:00 ვარიაცია, ფლობა, ისტორიული ლინგვისტიკის პოსტერები (10); თითოეულ მონაწილეს მიეცემა 2 წუთი სასტენდო მოხსენების მოკლე რეზიუმესათვის, შემდეგ პოსტერები გამოიფინება.

13:00-14:00 ლანჩი

14:00-17:00 პანელის გაგრძელება და სპეციფიკური საპროექტო წინადადებების სამუშაო ვარიანტის შექმნა.

17:00-17:15 შესვენება

17:15-19:00 პანელის თავმჯდომარეები (ან შერჩეული პანელის ავტორები) ვორკშოპის ყველა მონაწილის წინაშე წარადგენენ კვლევის მთავარ შედეგებს. მომავალი შეხვედრების დაგეგმვა.

ფონეტიკა—ფონოლოგიის პანელი, თავმჯდომარე ელენა ბორისე

მორფოსინტაქსის პანელი, თავმჯდომარე სტივენ ფოლი

ენის დოკუმენტაციის პანელი, თავმჯდომარე მარიამ მანჯგალაძე

სასტენდო მოხსენებები წარმოდგენილი უნდა იყოს ორწუთიანი რეზიუმეით სესიის დასაწყისისათვის.

პირველი დღე. სასტენდო მოხსენებები. ფონეტიკა/ფონოლოგია

1. აქცესიური თანხმოვანთკომპლექსების დიაქრონიული ცვლილებებისათვის – ციური ახვლედიანი, ქეთევან გაბუნია (თსუ)
2. აქცესიური თანხმოვანთკომპლექსების ფონეტიკური სუპერაცია – ციური ახვლედიანი, ქეთევან გაბუნია (თსუ)
3. ფშინვიერი დისიმილაციის ფონეტიკა — გამჟერ ბეგუსი (ჰარვარდის უნივერსიტეტი)
4. წინარექართველური ფუძეების ფონოლოგიური სისტემა — მერაბ ჩუხუა (თსუ)
5. სიტყვათა მიჯნა და მეტრიკული სტრუქტურა რუსთაველის ვეფხისტყაოსანში — ჯომ ფალკი (ჩიკაგოს უნივერსიტეტი)
6. ბერისა და მარცვლის მოკვეცის შემთხვევები ქართულ დიალექტებსა და სოციოლექტში — ნათია კენჭიაშვილი (თსუ)
7. ქართული თანხმოვანთკომპლექსები: ფონეტიკური მიმოხილვა — ტომას ო. ლენცი, მარიანა პოპლიერი, იოანა ჩიტორანი, ფილიპ ჰული (მიუნხენის ლუდვიგ-მაქსიმილიანის სახელობის უნივერსიტეტი; პარიზის დიდროს სახელობის უნივერსიტეტი)
8. ქართულ მხშულ-მსკდომთა აკუსტიკური და არტიკულატორული ანალიზი — მიშელ მეიე, ჟულია ბისმანი, ანა ჰერმესი, რეინჰოლდ გრასბახი (კიოლნის უნივერსიტეტი)
9. ფონემა /ჰ/: ლარინგალური სპირანტი თუ ყრუ ხმოვანი? — მარიამ ნავაძე (თსუ)
10. წყვილბაგისმიერი სონანტი [w] ქართულ ფონოლოგიურ სისტემაში — მარიამ რუხაძე (თსუ)

11. სონორები ქართულ თანხმოვანთკომპლექსებში — ჯულია სტურმი (ჰარვარდის უნივერსიტეტი)  
მე-2 დღე. სასტენდო მოხსენებები. მორფოსინტაქსი

1. ზმნური შეთანხმების წყვილები: სახმრეთკავკასიური ენების მაგალითი — ჰოგენ ბლიქსი (ნიუ იორკის უნივერსიტეტი)
2. ფოკუსის პროსოდია ენაში ფიქსირებული ფოკუსის პოზიციით ქართული ენის მაგალითზე — ელენა ბორისე (ჰარვარდის უნივერსიტეტი)
3. კონტრასტული ტოპიკის მარკირება ქართულში — ლორენს ბი-ვიოლეტე (ჰარვარდის უნივერსიტეტი)
4. ნეგატიური შეთანხმება სვანურსა და ძველ ქართულში: დასკვნები გრამატიკალიზაციისათვის — დავიდ ერშლერი (მასაჩუსეტსის უნივერსიტეტი)
5. დატივის ბლოკირება ქართულში — ქსენია ერშოვა (ჩიკაგოს უნივერსიტეტი)
6. ერგატიულობისა და ინვერსიის კავშირი — გალაჰერ ფლინი (ჩიკაგოს უნივერსიტეტი)
7. ბრუნვაში შეთანხმება: პირის კატეგორიაზე დაფუძნებული ერგატიულობა ქართულში — სტივენ ფოლი ( კალიფორნიის უნივერსიტეტი, სანტა კრუზი)
8. ძირითადი მიმართება ქართულის გახლეჩილმსაზღვრელიან ფრაზასთან— ზუხანა ფუქსი (ჰარვარდის უნივერსიტეტი)
9. მედიოაქტიური ექსპრესიული ზმნები მეგრულსა და ლაზურში — რუსუდან გერსამია (ილიაუნი)
10. ქართულის სრულ დროთა სერია და დასავლურ ევროპული ყოფნა/ქონა/ყოლა დამხმარე ზმნების დაყოფა — სტივ ჰიუიტი
11. უარყოფის გამოხატვის გრამატიკული და აფიქსური მოდელები ქართველურ ენებში დიაქრონიული და სინქრონიული თვალსაზრისით — მაია მადუაშვილი, ნინო ქებურია, მაგული ლამბაშიძე, ელენე ქადაგიშვილი, თამარ ჩანქსელიანი, გიორგი ჯღარკავა (თსუ)
12. მოდალური ნაწილაკები ქართულში — თამარ კალხიბაშვილი, ალექსანდე ასათიანი (ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, ჯიჰა)
13. რატომ არ დასტურდება ორმაგი უარყოფა უმწერლობო ქართველურ ენებში? მაია ლომია, ქეთევან მარგიანი (თსუ)
14. პოსტინტაქსური ოპერაციები და წარმოქმნილი სახელების მორფემათა რიგი — ლეილა ლომაშვილი (შუანის სახელმწიფო უნივერსიტეტი )

მე-3 დღე. სასტენდო მოხსენებები. ენის დოკუმენტაცია/ ვარიაციულობა/ დაუფლება

1. ემოციების გამომხატველი ზმნები აფხაზურსა და ქართველურ ენებში — ნინო აბესაძე (თსუ)
2. ზანიზმები გურულ დიალექტში: მცნარეთა სახელები — ნათია ბოტკოველი (თსუ)
3. სივრცის ლინგვისტური სტრუქტურირება სკოლამდელი ასაკის ბავშვებში — ქეთი ჭილაია (თსუ)
4. ეცეკვება ტიპის ზმნების სემანტიკური ინტერპეტაცია ქართულში — ნინო ნოზაძე (თსუ)
5. მორფოიზოგლოსი ქართულსა და უდიურ ენებში — ნინო რუხაძე (თსუ)
6. უშემასმენლო წინადადები სვანურში — ნატო შავრშიანი, მედეა საღლიანი და ლელა გიგლემიანი ( არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი, თსუ)
7. ლექსიკური სესხებისა და ენობრივი კონტაქტებისათვის: ქართულის, მეგრულისა და ბაცბურის მაგალითზე — მაკა თეთრაძე ( არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი, თსუ)
8. წინადადების ინფორმაციული სტრუქტურა — იმპლიკაციური ტოპიკი ქართულში — ნუცა წერეთელი (თსუ)
9. ნეიროლინგვისტური პროგრამირების დიზაინი ქართული ენისათვის — ირაკლი წიქარიშვილი, ურსულა ბორუსკა (სილესიას უნივერსიტეტი, კატოვიცე)
10. რატომ არის მესამე ირიბი ობიექტური პირის ნიშნის დაკარგვის ტენდენცია თანამედროვე ქართულში? — ლელა ციხელაშვილი (თსუ)